გაფრთხილება

- მოცემული მოწყობილობის გამოყენება არ არის რეკომენდებული იმ პირთა (მათ შორის ბავშვების) მიერ, რომლებსაც აქვთ შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობები, ან არ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება ზედამხედველობა ან ინსტრუქტაჟი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
- პროდუქტის გამოყენება შეუძლიათ 8 წლისა და უფროსი ასაკის ბავშვებს, აგრეთვე პირებს შეზღუდული ფიზიკური, აღქმის ან გონებრივი შესაძლებლობებით, იმ პირობით, თუ ისინი იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ ან გაეცნენ ინფორმაციას პროდუქტის უსაფრთხო გამოყენების შესახებ და გაცნობიერებული აქვთ მასთან დაკავშირებული რისკები.
- ბავშვებმა არ უნდა ითამაშონ მოწყობილობით.
- არ დაუშვათ ბავშვების მიერ მოწყობილობის გაწმენდა და მოვლის სხვა ღონისძიებების შესრულება უფროსების მეთვალყურეობის გარეშე.
- შეინახეთ მოწყობილობა ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. ორთქლმა და მდუღარე წყალმა შესაძლოა გამოიწვიოს დამწვრობა.
- გაითვალისწინეთ, რომ ტენიანობის მაღალმა დონემ შესაძლოა ხელი შეუწყოს გარემოში ბიოლოგიური ორგანიზმების ზრდას.
- არ დაუშვათ დამატენიანებლის გარშემო არსებული ადგილის დასველება ან დანესტიანება. სინესტის ნიშნების გამოჩენისთანავე შეამცირეთ ორთქლის მიწოდების მოცულობა. თუ მოცულობის შემცირება შეუძლებელია, გამოიყენეთ დამატენიანებელი შესვენებებით. არ დაუშვათ ტენის შთანმთქმელი მასალების (ხალიჩები, ფარდები, გადასაფარებლები ან სუფრები) დანესტიანება.
- წყლის შევსებისა და გაწმენდის დროს გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან.
- არასოდეს დატოვოთ წყალი რეზერვუარში, თუ მოწყობილობა არ გამოიყენება.
- შენახვამდე დაცალეთ და გაწმინდეთ დამატენიანებელი. გაწმინდეთ მოწყობილობა ყოველი შემდგომი გამოყენების წინ.
- ელექტროშოკის, ხანძრის, ტრავმებისა და სხვა დაზიანებების თავიდან ასაცილებლად, არ გამოიყენოთ ჰაერის დამატენიანებელი შემდეგ შემთხვევებში:
- დამატენიანებლის ძირითადი კორპუსი გადახრილია. კორპუსის გადახრამ შესაძლოა გამოიწვიოს წყლის დონის არასწორი ჩვენება და წყლის გადმოსვლა. გამოყენებისას მოწყობილობა უნდა იდგეს სწორ და მყარ ზედაპირზე.
- დამატენიანებელთან ახლოს იმყოფება არამყარი საგნები ან ნივთები, რომლებიც შესაძლოა დაეცეს.
- ცხელ ან ნესტიან შენობებში, მაგალითად, სააბაზანო ოთახებში.

ჩართეთ დამატენიანებელი კომპლექტში შემავალი სტანდარტული გადამყვანის (ადაპტერის) მეშვეობით. უსაფრთხოების მიზნით, დაზიანებული გადამყვანი ან კვების კაბელი უნდა შეიცვალოს მწარმოებლის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მიერ.